სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

Master's Educational Program

საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი

Management of Export Strategies

თბილისი

2026

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის სახელწოდება ქართულად და ინგლისურად	**საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი** **Management of Export Strategies**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	**აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ბიზნესის ადმინისტრირებაში** **Executive Master of Business Administration /EMBA in Business Administration**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამა შედგება როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კურსებისაგან. პროგრამის მოცულობაა 60 **ECTS** კრედიტი, მათ შორის: **სავალდებულო კრედიტები - 50 ECTS,** მათ შორის • სავალდებულო სასწავლო კურსები-**40 ECTS** კრედიტი • საკურსო პროექტი - **10 ECTS** კრედიტი **არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორები	პროფესორი **გიორგი ღაღანიძე** ტელ: 599 50 64 28 Mail: giorgi.gaganidze@tsu.ge
პროგრამის დაშვების წინაპირობა:	➢ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს: ✓ **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი** და **ჩააბაროს** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული **საერთო სამაგისტრო გამოცდა.** ✓ **პროფესიული გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში არანაკლებ 5 წელი.** ➢ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს **გასაუბრება** პროგრამაში მონაწილე პროფესორებთან დადგენილი წესის მიხედვით.[1] ➢ წერითი გამოცდა ინგლისური ენაში (B2 დონე). კანდიდატი გათავისუფლდება უცხო ენის წერითი გამოცდიდან, თუ წარმოადგენს B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან გავლილი აქვთ უცხო ენის (ინგლისური) სასწავლო კურსი არანაკლებ B2 დონეზე ბაკალავრიატში; ➢ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა **უცხო ქვეყნის** აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო

[1] გასაუბრების წესი მტკიცდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მიერ შესაბამისი კათედრის წარდგინებით. გასაუბრების მიზანია დაადგინოს პირის მოტივაცია და დარგობრივი ცოდნის დონე.

	დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ სათანადო ინფორმაცია განთავსდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამის **მიზანია** აღჭურვოს სათანადო პრაქტიკული გამოცდილების მქონე ბიზნესში მომუშავე პერსონალი აუცილებელი თეორიული ცოდნითა და უნარებით, რომელსაც ექნება: ✓ საექსპორტო სტრატეგიების მართვის სფეროში თეორიული და პრაქტიკული საკითხების სიღრისეული ანალიზის საფუძველზე მიიღოს **სტრატეგიული გადაწყვეტილებები;** ✓ გლობალურ გარემოში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ადეკვატური შეფასების, საექსპორტო სტრატეგიების სწორი ხედვისა და ეფექტური მართვით **გადაწყვიტოს კომპლექსური პრობლემები;** ✓ შესაძლებლობა საჭირო პრაქტიკული უნარებისა და ცოდნის გამოყენებით ხელი შეუწყოს ბიზნესის განითარებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე საექსპორტო სტრატეგიების დაგეგმვითა და ახალი **ინოვაციური სტრატეგიების შემუშავებით.**
სწავლის შედეგები	**სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:** **ცოდნა და გაცნობიერება** • **სიღრმისეულად აანალიზებს** გლობალურ ეკონომიკაში თანამედროვე საექსპორტო სტრატეგიების ფუნქციონირების საკვანძო საკითხებს; • **დამოუკიდებლად აფასებს** სხვადასხვა გეოგრაფიულ კონტექსტში, გლობალურ გარემოში უახლესი საექსპორტო სტრატეგიების პრაქტიკულ გამოყენებას; • **სისტემურად განიხილავს** საექსპორტო სტრატეგიების დაგეგმვის ალტერნატიული ელექტრონული კომერციის მეთოდს; • **ერთმანეთთან კავშირში აანალიზებს** საექსპორტო ბაზრების ორიგინალურ კვლევას, დაგეგმვას, ინფორმაციის მოპოვებას, შიდა და გარე ფაქტორებსა და მოსალოდნელ რისკებს. **უნარი** • კვლევის არსებული და უახლოესი მეთოდების გამოყენებით წარმატებით **ახდენს** საექსპორტო სტრატეგიების ფუნქციონირებაში არსებული პრობლემების გამოვლენას; • საექსპორტო ბაზრების იდენტიფიცირებული პრობლემის გადასაჭრელად **დამოუკიდებლად განსაზღვრავს** ექსპორტის ეფექტურ სტრატეგიებს; • **არგუმენტირებულად იღებს** გადაწყვეტილებებს, ახალი საექსპორტო სტრატეგიების დანერგვის შესახებ;

	• **დასაბუთებული, სისტემური ანალიზის საფუძველზე წარადგენს** საკუთარ პრაქტიკულ და სამეცნიერო იდეებს შესაბამისი აუდიტორიის წინაშე. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** • გლობალურად ცვალებად ბიზნეს გარემოში **იღებს** მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრავს საექსპორტო სფეროს განვითარების საჭიროებებს; • მაქსიმალურად **უწყობს ხელს** დარგის გლობალიზაციას და მსოფლიო საუკეთესო საექსპორტო სტრატეგიების პრაქტიკის დანერგვას; • **დამოუკიდებლად განსაზღვრავს** შემდგომი სწავლისა და განვითარების საჭიროებებს.
სწავლის მეთოდები	საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით სტუდენტების სწავლებისას, ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა ტესტირება, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ამოცანების (ქეისების) განხილვა, დისკუსია–სემინარების ჩატარება, საპრეზენტაციო პროექტების მომზადება, აგრეთვე საკონსულტაციო და დამოუკიდებელი მუშაობა. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. სწავლა/სწავლების მეთოდები: • **ვერბალური** - ზეპირსიტყვიერი; • **წიგნზე მუშაობის** - სახელმძღვანელოდან თანამედროვე ინფორმაციის გაცნობა და სიტუაციების მომზადება; • **დემონსტრირების** - ინფორმაციის ვიზუალური წარდგენა. სასწავლო მასალის დემონსტრირება მოხდება სლაიდებით და დაფის გამოყენებით; • **პრაქტიკული მეთოდები** -უზრუნველყოფს პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამოხსნილი იქნება ქეის-სთადები და პრაქტიკული სავარჯიშო; • **ახსნა-განმარტებითი მეთოდი**– ეფუძნება მყარ არგუმენტებზე დაფუძნებულ მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. დაწვრილებით განხილული იქნება კონკრეტული მაგალითი; • **ქმედება ზეორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და

	სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია; • **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - განხილული იქნება კონკრეტული სიტუაციები (შემთხვევები) და გაკეთდება მათი დეტალური ანალიზი; • **დისკუსია/დებატები**– ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს; საშუალებას აძლევს მოზხდინოს კონფლიქტოგენების თავიდან აცილება; • **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
შეფასების სისტემა	სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. ერთწლიან პროგრამაზე სწავლება დასრულდება სამაგისტრო პროექტის მომზადებით, სადაც თავმოყრილიას ერთი წლის განმავლობაში შესწავლილი საკითხები, აუცილებელია თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გარემოსთან ადაპტირება, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების უნარების გამომუშავება. **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა

	სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - (FX) (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - (F) (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფერიები	სხვადასხვა ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიები, ექსპორტის ხელშემწყობი სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სწავლების საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში და შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსურ მდგრადობას განსაზღვრავს ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი.
დამატებითი ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში	სტუდენტმა უნდა დაიცვას თსუ-ს მიერ განსაზღვრული შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის, ეთიკის ნორმები, ასევე იგი ვალდებულია დაიცვას აკადემიური პატიოსნება. სტუდენტი წარმოადგენს აკადემიურ სტილში დამოუკიდებლად მომზადებულ დავალებებს; ნაშრომის

	შესრულებისას აკადემიური სტილის დაცვით უთითებს გამოყენებულ წყაროებს; არ აქვს უფლება გააყალბოს ინფორმაცია/მონაცემები, ან გადმოწეროს სხვისი/თავისი ნაშრომი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო სტუდენტს ეკისრება ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობა - ნაშრომის ხელახლა მომზადება, სასწავლო კურსში არადამაკმაყოფილებელი შეფასება და/ან სტატუსის შეწყვეტა.

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: ეკონომიკა და ბიზნესი

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა

პროგრამის სახელწოდება: ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა, **საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი**

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა (EMBA)

კრედიტების რაოდენობა: 60 ECTS

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი **გიორგი ღაღანიძე**

აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: *თსუ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის დადგენილება* N: 111/2023; დანართი 318 https://tsu.ge/ka/legalakad/48408

პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2025-2026

აკრედიტაციის მინიჭების თარიღი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 13 დეკემბრის № 1614165 გადაწყვეტილება https://eqe.ge/ka/decisions/13490/show

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	კრედიტების განაწილება		ავტორი / ავტორები
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		სემესტრები		
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული				1	2	
პროგრამისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები - სულ 50 კრედიტი, მათ შორის: 10 კრედიტი საკურსო პროექტი											
1	საერთაშორისო მენეჯმენტი გლობალურ გარემოში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		გ. ღაღანიძე თ. ღამბაშიძე გ. გრიგოლაშვილი
2	კონკურენტული სტრატეგიები	სავალდებულო	4	15	30	55	100	წინაპირობის გარეშე	4		ბ. რამიშვილი
3	კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ნ. ფარესაშვილი
4	საერთაშორისო შრომითი მიგრაცია	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		თ. ზუბიაშვილი
5	ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		ნ. პაიჭაძე ნ. ხარაძე მ. ტუღუში
6	სტრატეგიული მენეჯმენტი ციფრულ ეკონომიკაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5		გ. ღაღანიძე, ბ. რამიშვილი
7	პროექტების მართვა გლობალურ გარემოში	სავალდებულო	6	15	30	105	150	წინაპირობის გარეშე		6	ბ. რამიშვილი
8	ეკონომიკური ანალიზი ვაჭრობაში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5	მ. ჯიქია
9	საექსპორტო სტრატეგიების მენეჯმენტი (საკურსო პროექტი)	სავალდებულო	10	-	30	220	250	I სემესტრის სავალდებულო კურსები		10	გ. ღაღანიძე

არჩევითი სასწავლო კურსები 10 კრედიტი											
10	ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5	ნ. ფარესაშვილი
11	საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			თ. კბილაძე
12	თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5	დ. სიჭინავა, თ. მუნჯიშვილი
13	ინფორმაციული ტექნოლოგიები საბაჟო საქმიანობის მართვაში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			რ. სეთურიძე

პროგრამის ECTS კრედიტები: სულ - 60 კრედიტი

მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი

საკურსო პროექტი - 10 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კურსი - 10 კრედიტი

შენიშვნა: საკურსო პროექტის არჩევისთვის აუცილებელია მაგისტრანტს გავლილი ქონდეს პირველი სემესტრის სავალდებულო საგნები;

საკურსო პროექტის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში მინიმუმ 50 ECTS კრედიტის ათვისება.